

DataLab

პრეს-რელიზი

ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში

თბილისი. 2018 წლის 29 მაისი - საქართველოში ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის კუთხით მთავარი გამოწვევა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და სტანდარტების არარსებობაა. სწორედ ამ პრობლემის გამო, მწირია იმ მონაცემების ჩამონათვალი, რომლებსაც საჯარო დაწესებულებები ღია და დამუშავებად ფორმატში აქვეყნებენ. მართალია, არსებობს ღია მონაცემების ერთიანი სახელმწიფო პორტალი, მაგრამ საჯარო დაწესებულებები კანონმდებლობით ვალდებული არ არიან ცალკეული მონაცემები ამ პორტალზე გამოაქვეყნონ და ეს მხოლოდ მათ კეთილ ნებასა და აქტიურობაზეა დამოკიდებული.

29 მაისს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის კვლევა გაასაჯაროვა, რომელიც საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებს მოიცავს.

ღონისძიებას საჯარო დაწესებულებების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, საერთაშორისო და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კვლევა მომზადდა IDFI-ის მიერ ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. კვლევის თანაავტორები არიან KohoVolit.eu (ჩეხეთი და სლოვაკეთი), K-Monitor Public Benefit Association (უნგრეთი) და Stanczyk Institute of Civic Thought Foundation (პოლონეთი).

ღონისძიება გახსნა IDFI-ის პროგრამების დირექტორმა **ლევან ავალიშვილმა**. მან ფართოდ ისაუბრა იმ მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ რაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის კუთხით საქართველოში, ჩეხეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და სლოვაკეთში.

„სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სლოვაკეთმა და ჩეხეთმა, შედარებით უკეთესი შედეგები აჩვენეს ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ეს მნიშვნელოვნად განპირობებულია ამ ქვეყნებში საკანონმდებლო დონეზე ღია მონაცემების განმარტებისა და გამოქვეყნების სტანდარტების არსებობით. ამიტომაც, აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობამ და იუსტიციის სამინისტრომ დააჩქარონ პარლამენტში - ინფორმაციის თავისუფლების შესახებ - ახალი კანონპროექტის წარდგენა, სადაც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ღია მონაცემთა გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის საკითხები,“ **აღნიშნა ლევან ავალიშვილმა**.

IDFI-ის ელექტრონული მიმართულების ხელმძღვანელმა **თეონა ტურაშვილმა** დამსწრე საზოგადოებას ისაუბრა ანალიტიკური სტატიების კონკურსის შედეგებისა და გამარჯვებულების შერჩევის კრიტერიუმების შესახებ.

„კონკურსის მიზანი იყო, საზოგადოებაში ღია მონაცემების დამუშავებისა და მონაცემებზე დაყრდნობით ანალიტიკური სტატიების მომზადების წახალისება. საკონკურსო სტატიების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, კონკურსმა საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია. ამასთან,

მონაწილეებმა ღია მონაცემებთან მუშაობის საკმაოდ კარგი პრაქტიკა აჩვენეს, რამაც გაართულა 60-მდე ნაშრომიდან 3 საუკეთესოს შერჩევის პროცესი. მონაწილეებმა საკუთარ ნაშრომებში აქტიურად გამოიყენეს www.DataLab.ge -ზე განთავსებული ღია მონაცემები, საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების არგუმენტირებული ანალიზისათვის. საკონკურსო სტატიების უმრავლესობა ეხებოდა ისეთ აქტუალურ საკითხებს როგორცაა, ოჯახში ძალადობა, შშმ პირების უფლებები, ავტოსაგზაო უსაფრთხოების პოლიტიკა და სხვა“, აღნიშნა თეონა ტურაშვილმა.

ღონისძიების დასასრულს ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იოჰანეს დაუმამ გამარჯვებული კონკურსანტები დააჯილდოვა:

- ✚ I ადგილი (1,600 ლარი) - გივი მომცელიძე
სტატია თემაზე: უცხოელი მოქალაქეები საქართველოში: მითები და სინამდვილე
- ✚ II ადგილი (1,200 ლარი) - გიორგი დუნდუა
სტატია თემაზე: ძალადობა, ფემიციდი და მშვიდობის მშენებლობა რიცხვებში და რიცხვებს მიღმა
- ✚ III ადგილი (900 ლარი) – ნინო ტალიკაძე
სტატია თემაზე: უმუშევრობასა და დანაშაულს შორის კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი გენდერულ კრილში

საკონკურსო ნაშრომების ხარისხიდან გამომდინარე, ჟიურიმ ერთხმად გადაწყვიტა, რომ კიდევ 2 საინტერესო ნაშრომის ავტორი დაეჯილდოვებინა ტექნიკის მაღაზია "ალტაოქეის" 300 ლარიანი სასაჩუქრე ბარათებით. ესენი არიან:

- ✚ ანა ქათამაძე
სტატია თემაზე: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი
- ✚ ნინო ლობჯანიძე და ნინო ჩოჩია
სტატია თემაზე: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლების ცალკეული ასპექტები საქართველოში

საკონტაქტო ინფორმაცია:

- მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 500 137, m.makharashvili@idfi.ge